საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მენჰირი

მენჰირი (ბრეტონული menhir*d*-მდე მერყეობს, არის უფრო დიდიც – ერთ-ერთი უდიდესი მ. დაახლ. 20 *მ* სიმაღლისა და 300 *ტ* -მდე წონისაა (ბრეტონი, საფრანგეთი). ვარაუდობენ, რომ მ-ს ძირითადად საკულტო დანიშნულება უნდა ჰქონოდა. გავრცელებულია ჩრდ.-დას. ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, ციმბირსა და კავკასიაში.

საქართველოში მ. განსაკუთრებით გავრცელებულია ქვეყნის სამხრ. რეგიონებში (თრიალეთი, ჯავახეთი, ქვემო ქართლი). მოსახლეობა მათ „ქვაკაცებს“, „ქალქვებს“, „რძის ქვებს“, „ვეშაპებს“ ეძახდა; მათთან, როგორც საკრალურ ცენტრებთან, ნაყოფიერებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები სრულდებოდა.

ლიტ.: ა ბ ა კ ე ლ ი ა ნ., სომბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997; მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი ლ., მეგალითური კულტურა საქართველოში, მასალები არქაიკული მონუმენტალური ხელოვნების ისტორიისათვის, თბ., 1938; ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე ნ., ქვათა თაყვანისცემა მესხეთში, კრ. არქივთმცოდნეობა–წყაროთმცოდნეობა, თბ., 2020.